დამტკიცებულია გენერალური დირექტორის
2018 წლის 3 თებერვლის № 1 ბრძანებით

# უნივერსიტეტის 2018-2019 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა

| # | გასატარებელი ღონისძიება | შემსრულებელი | შესრულების დრო |
|---|---|---|---|
| 1 | **ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**<br>1. პროგრამებისა და სასწავლო კურსების შესაბამისად მაღალკვალიფიციური კადრების მოწვევის მიზნით აკადემიური კონკურსის გამოცხადება;<br>2. სტრატეგიული გეგმების შესრულების მონიტორინგი და უზრუნველყოფა;<br>3. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება (შეხვედრები განათლების სამინისტროსთან, ხარისხის განვითარების ცენტრთან, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ კორპუსთან და ბიზნესის წარმომადგენლებთან);<br>4. სტუდენტური თვითმმართველობის და შემოქმედებითი ჯგუფების მხარდაჭერა;<br>5. სარეკლამო და საცნობარო კამპანიის დაგეგმვა;<br>6. უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული და ეფექტური ფუნქციების მონიტორინგი და ანალიზი;<br>7. უნივერსიტეტის რეესტრის წარმოების და საქმის წარმოების შეფასება. | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია<br><br>უნივერსიტეტის ადმინისტრაცია<br><br>უნივერსიტეტის ადმინისტრაცია<br><br>უნივერსიტეტის ადმინისტრაცია<br><br>უნივერსიტეტის ადმინისტრაცია | პერმანენტულად |

| | | | |
|---|---|---|---|
| 2 | **ხარისხის უზრუნველყოფა**<br><br>1. უნივერსიტეტის აკადემიური საქმიანობის და რესურსების შეფასება;<br>2. უნივერსიტეტის მოწვეული პროფესურის შეფასება;<br>3. უნივერსიტეტის სამეცნიერო კადრის და საქმიანობის შეფასება;<br>4. აკადემიური პროცესის დამხმარე საქმიანობის შეფასება;<br>5. ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელებული პრაქტიკის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების შემუშავება;<br>6. სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი და რეკომენდაციების შემუშავება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით;<br>7. საგანმანათლებლო პროგრამების იმპლემენტაციის მონიტორინგი და შეფასება;<br>8. სასწავლო პროცესის განხორციელებისას სტუდენტთა, პროფესორთა მომსახურების  მონიტორინგის განხორციელება;<br>9. სასწავლო პროცესთან ინფრასტრუქტურული და საინფორმაციო რესურსების და საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება;<br>10. სწავლის შედეგების შეფასება. | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | |
| 3 | **პარტნიორული ურთიერთობების განვითარება**<br><br>1. სახელმწიფო და ბიზნეს სექტორთან მემორანდუმების და სხვა ტიპის თანამშრომლობითი შეთანხმებების გაფორმება; | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია | წლის განმავლობაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 2. თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის გაფორმება სამედიცინო დაწესებულებასთან „ევექსი“;<br>3. გერმანელი პროფესორის გერ დუიზინგის მოწვევა და საჯარო ლექცია, მის მიერ საკუთარი წიგნის პრეზენტაციის ორგანიზება;<br>4. ჩეხი პროფესორის პეტრ ოცელიკის  მოწვევა და საგანმანათლებლო პროგრამებზე მუშაობა, აგრეთვე საჯარო ლექციები. | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია<br><br>სამართლის სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა | მაისი<br><br><br><br><br>მარტი-აპრილი |
| 4 | **სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებები და ექსტრაკურიკულარული აქტიობები**<br><br>1. სტუდენტთა მხარდამჭერი ინსტრუმენტების და შესაბამისი მექანიზმების შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის მონიტორინგის განხორცილება;<br>2. სტუდენტის მიერ აკადემიური პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საკონსულტაციო-საინფორმაციო ღონისძიებების შემუშავება;<br>3. კარიერული მხარდაჭერის სერვისის საქმიანობის დაგეგმვა და პოტენციურ დამსაქმებლებისაგან ინფორმაციის მოპოვება;<br>4. განხორციელებულ და დაგეგმვის ინიციატივებზე რეაგირების და განხორციელების ადეკვატურობისა და ეფექტიანობის შეფასება<br>5. სტატისტიკური ინფორმაციის დამუშავება უცხოელ სტუდენტებთან დაკავშირებით | უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. | |

| | | | |
|---|---|---|---|
| 5 | **კვლევა და სამეცნიერო საქმიანობა**<br><br>1. განათლების, კვლევის და ეკონომიკის ინტეგრირების ხელშეწყობა და ზრუნვა;<br><br>2. ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური, კულტურული და სხვა სახელმწიფოებრივი მიზნების განხორცილებაში სამოქმედო ღონისძიებებზე მსჯელობა;<br><br>3. იმ კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობის ღონისძიებების განხილვა, რომლებიც ახალი ცოდნის გენერირებას განაპირობებს;<br><br>4. კვლევებთან და სამეცნიერო მუშაობსათან დაკავშირებული საქმიანობის ანალიზი. | სკოლის ადმინისტრაცია, შესაბამისი კვლევითი ინსტიტუტები | |
| 6 | **სკოლების, როგორც ძირითადი საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული ერთულის მიერ დაგეგმილი ღონისძიებები:**<br><br>**ბიზნესის სკოლა**<br><br>1. მოეწყობა საქალაქო სემინარები ბიზნეს კვლევების დარგში. მოწვეული იქნებიან დარგის წამყვანი სპეციალისტები;<br><br>2. გაგრძელდება სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციები ყველა დონის სამეცნიერო, როგორც იმპაქტფაქტორიან საერთაშორისო, ისე ქართულ ჟურნალებში;<br><br>3. მოხდება საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლების ინტენსიფიკაციის და ხარისხის ამაღლების ღონისძიებათა დაგეგმვა-განხილვა; | ბიზნესის სკოლის ადმინისტრაცია<br><br>სკოლის ადმინისტრაცია, კვლევითი ინსტიტუტები, აკადემიური პერსონალი<br><br>სკოლის ადმინისტრაცია | მარტი-აპრილი<br><br>წლის განმავლობაში<br><br>წლის განმავლობაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 4. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების საქმიანობის მონიტორინგი; | სკოლის ადმინისტრაცია | თებერვალი |
| | 5. გაფართოვდება სკოლის საერთაშორისო კონტაქტები: სტუდენტთა და პროფესორ მასწავლებელთა გაცვლითი პროგრამების სახით; | სკოლის ადმინისტრაცია | მარტი-აპრილი |
| | 6. ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამის მომზადება და წარდგენა; | სკოლის ადმინისტრაცია | თებერვალი |
| | 7. სახელმწიფო და კერძო სექტორში ბიზნესის სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულების მოწვევა და თანამშრომლობის საკითხების განხილვა; | სკოლის ადმინისტრაცია | 24 სექტემბერი |
| | 8. პარტნიორი ორგანიზაციების და სახელმწიფო უწყებების წარმომადგენელთა მოწვევა სკოლის კურსდამთავრებულთა დასაქმების საკითხების განხილვის მიზნით; | სკოლის ადმინისტრაცია | 5 ივნისი |
| | 9. საბაკალავრო საფეხურზე ლექციებისა და სემინარების ინტერაქციურობის მკვეთრი გაზრდის შესახებ სკოლის საბჭოს გაფართოებული შეხვედრის მოწვევა და საკითხის განხილვა; | სკოლის ადმინისტრაცია, აკადემიური საბჭო | 2 ოქტომბერი |
| | 10. არსებულ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტებში კვლევითი საქმიანობის გაფართოების ღონისძიებათა განხილვა. | სკოლის ადმინისტრაცია | 16 ნოემბერი |
| | **სამართლის სოციალური მეცნიერებების და დიპლომატიის სკოლა** | | |
| | 1. აკადემიური პუბლიკაციების და სამეცნიერო ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება შესაბამის გამოცემებში; | კვლევითი ინსტიტუტები; სკოლის აკადემიური პერსონალი. | წლის განმავლობაში |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 2. კონფერენციის ორგანიზება მიმდინარე საკონსტიტუციო და საკანონმდებლო რეფორმებთან დაკავშირებით; | სკოლის ადმინისტრაცია, კონსტიტუციონალიზმის კვლევის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი | აპრილი |
| | 3. სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების განხორციელება; | | გაზაფხული-ზაფხული |
| | 4. ერასმუს + პროექტის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტში ვიზიტი აზერბაიჯანში; | პროექტის მენეჯმენტი, სკოლის პროფესურა | 15-18 მარტი |
| | 5. ერასმუს + პროექტის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტში ვიზიტი პოლონეთში; | პროექტის მენეჯმენტი, სკოლის პროფესურა | აპრილი |
| | 6. ერასმუს + პროექტის ფარგლებში პარტნიორ უნივერსიტეტში ვიზიტი იტალიაში; | | 2017 წლის გაზაფხული |
| | 7. იმიტირებული სასამართლო პროცესების და პოლიტიკური ივენთების მოდელირების ორგანიზების მექანიზმების დახვეწა; | სკოლის ადმინისტრაცია | წლის განმავლობაში |
| | 8. ურთიერთობების გაფართოება არსებულ და ახალ უცხოელ პარტნიორ უნივერსიტეტებთან; | სკოლის ადმინისტრაცია | 1-5 მაისი |
| | 9. იურიდიული კლინიკის საქმიანობის მონიტორინგის განხორციელება; | სკოლის ადმინისტრაცია | |
| | 10. სკოლის კურსდამთავრებულთა შეხვედრის ორგანიზება და თანამშრომლობის პერსპექტივების განხილვა. | სკოლის ადმინისტრაცია | 19 სექტემბერი |
| | **ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლა** | | |
| | 1. მოხდება ახალი სასწავლო საბაკალავრო პროგრამების შემუშავება და იმპლემენტაცია. კერძოდ:<br>ა. „პროგრამული უზრუნველყოფის დეველოპმენტი”<br>ბ. „ინფორმაციული ტექნოლოგიების ინჟინერია”; | ადმინისტრაცია | სექტემბერი- ოქტომბერი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | 2. მოხდება ახალი სასწავლო სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და იმპლემენტაცია. კერძოდ:<br>ა. "ვებ და მულტიმედია პროექტის ტექნოლოგიები და მართვა”<br>ბ. “შენობა-ნაგებობების საინჟინრო აღჭურვა”; | | |
| | **3.** გაგრძელდება სამეცნიერო სტატიების პუბლიკაციები როგორც იმპაქტფაქტორიან საერთაშორისო ჟურნალებში, აგრეთვე ქართულ სამეცნიერო პერიოდიკაში; | | წლის განმავლობაში |
| | 4. სტუდენტთა გაცვლითი პროგრამები; | | მაისი-ივნისი |
| | 5. პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლის პროგრამა; | | |
| | 6. გაფართოვდება საჯარო სკოლებთან თანამშრომლობის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც საჯარო სკოლის მოსწავლეებს ექნებათ საშუალება დაესწრონ და შეისწავლონ ინფორმატიკისა და ინჟინერიის სკოლის საბაკალავრო პროგრამის მათთვის საინტერესო საგნები; | | წლის განმავლობაში |
| | 7. უნივერსიტეტის რეგიონალური განვითარება. | | |
| | **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლა** | | |
| | 1. გაიხსნება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის გვერდი facebook - ში ქართულ და ინგლისურ ენებზე, რომელიც სრულად ასახავს სკოლის ყოველდღიურ საქმიანობას ყველა მიმართულებით. გვერდის ადმინისტრატორებად დაინიშნებიან სკოლის საუკეთესო სტუდენტები; | სკოლის ადმინისტრაცია | |
| | 2. დაარსდება მკითხველთა კლუბი, რომელთა წევრები (ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორები და სტუდენტები) შეიკრიბებიან ყოველი თვის პირველ კვირას, რათა განიხილონ ახალი ქართული და უცხოური ლიტერატურის ნაწარმოებები და მათი ეკრანული ვარიაციები. შედგება შეხვედრები თანამედროვე ქართველ მწერლებთან; | სკოლის ადმინისტრაცია | |
| | 3. დაარსდება „ ინგლისური კლუბი“ (English Club), რომელიც გააერთიანებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და | | მარტი |

| | | | |
|---|---|---|---|
| | ლიბერალური განათლების სკოლის ლექტორებსა და სხვადასხვა სკოლის სტუდენტებს. ინგლისური კლუბის ძირითადი მიზანია სტუდენტებს დაეხმაროს ზეპირი და წერითი კომუნიკაციისა და პრეზენტაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში; | | |
| | 4. დაარსდება „შემოქმედებითი სახელოსნო“, რომელიც ჩაატარებს ინტერაქციულ შეხვედრებს სხვადასხვა დარგების მიმართულებით, ერთი მხრივ, არსებული და მოწვეული ლექტორების და, მეორე მხრივ, ქართულ ამერიკული უნივერსიტეტისა და სხვა უნივერსიტეტებიდან მოწვეული სტუდენტების მონაწილეობით. მოეწყობა 2 მასტერ-კლასი ცნობილი ქართველი ხელოვანების მონაწილეობით; | სკოლის ადმინისტრაცია<br><br>სკოლის ადმინისტრაცია | მარტი- აპრილი<br><br>მაისი |
| | 5. მოეწყობა:<br>საჯარო გამოსვლებისა და პროფესიული პრეზენტაციების ყოველწლიური საუნივერსიტეტო კონკურსი ქართულ და ინგლისურ ენებზე; | | მაისი |
| | 6. ჯგუფური საჯარო გამოსვლების კონკურსი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) საჯარო და კერძო სკოლების უფროსკლასელთა და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტთა მონაწილეობით. ჟიურის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და უცხოელი ექსპერტები და მსგავს კონკურსებში გამარჯვებული სტუდენტები. კონკურსების შედეგები გაშუქდება facebook-ის გვერდზე; | | წლის განმავლობაში |
| | 7. ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის ლექტორთა და სტუდენტთა ერთობლივი კონფერენცია თემაზე „ენა და კულტურა“; | | |
| | 8. ქართულ ამერიკული უნივერსიტეტის სტუდენტებსა და ყველა დაინტერესებულ პირს შესაძლებლობა მიეცემათ არსებული პროგრამების ფარგლებში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ლიბერალური განათლების სკოლის | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| | მიერ შეთავაზებული კურსების ერთობლიობიდან, ე.წ. “Liberal Mix”-დან აირჩიონ მათთვის სასურველი, საინტერესო კურსები;<br>9. ინგლისური ენის საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებისთვის (TOEFL. IELTS, ILEC, BEC, FCE, CAE, CPE, SAT) ინგლისური ენის საერთაშორისო კვალიფიკაციის მისაღებად, დაესწრონ მოკლე პროფესიულ ტრენინგებს მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობის მიზნით.<br><br>**მედიცინის სკოლა**<br><br>1. კლინიკური უნარ–ჩვევების საკუთარი ცენტრის აღჭურვა თანამედროვე სტანდარტების სიმულატორებით;<br>2. ადგილობრივი და უცხოელი სტუდენტების მოზიდვა;<br>3. სამედიცინო სკოლების საერთაშორისო დირექტორიებში გაწევრიანება (WDOMS);<br>4. სხვა ქვეყნების პროფესიული მარეგულირებელი ორგანიზაციების აღიარების მოპოვება (მაგ. MCI);<br>5. სამედიცინო სკოლის ფართოდ რეკლამირება საერთაშორისო ბაზარზე;<br>6. ქაუ-ს მართვის საინფორმაციო სისტემის მოდერნიზაცია მედიცინის სკოლის და ზოგადად საერთაშორისო ბაზრიდან სტუდენტების მოზიდვის, სწავლისა და სწავლების პროცესის ასახვის მიზნით;<br>7. ელექტრონული ტესტური გამოცდების სისტემის დანერგვა. | ადმინისტრაცია | მაისი - ივნისი<br><br>აპრილი-ივნისი<br><br>წლის განმავლობაში<br><br>სექტემბერი - ოქტომბერი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 7 | **მატერიალური რესურსები**<br><br>1. მატერიალური რესურსების და საგანმანათლებლო რესურსების შესაბამისობის მონიტორინგი და შეფასება;<br><br>2. საგანმანათლებლო საქმიანობისათვის აუცილებელი გარემოს (ელ.ენერგიის უწყვეტობა, სანიტარული კვანძების, გათბობის და კონდიცირების) სისტებების გამართული მუშაობის მონიტორინგი;<br><br>3. სტუდენტებისა და პერსონალის უსაფრთხოების სისტემების ეფექტიანობის მონიტორინგის განხორციელება; | | |
| 8 | **ფინანსური რესურსები**<br><br>1. უნივერსიტეტის ფინანსური მდგომარეობის შეფასება დაწესებულების სამოქმედო გეგმების იმპლემენტაციასთან მიმართებაში;<br><br>2. სამეცნიერო კვლევების გაფართოებისათვის მიზანშეწონილი ფინასური სახსრების განსაზღვრის შესახებ ღონისძიებების განხილვა;<br><br>3. შიდა ფინანსური აუდიტის განხორციელება. | გენერალური დირექტორი<br><br>გენერალური დირექტორი<br><br>გენერალური დირექტორი, საფინანსო სამსახური | |